დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 28.12.2022-11.01.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 02.02.2023

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სისხლის სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Criminal law
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სისხლის სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №137 გადაწყვეტილება
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „უსდ“) სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სასწავლო (90 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებისგან (30 კრედიტი). ამასთან, სისხლი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (30 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (30 კრედიტი) და პროფესიული პრაქტიკისგან (30 კრედიტი), ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 კრედიტი).

ამჟამად უსდ-ში სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება და იგი აკრედიტირებულია 7 წლის ვადით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №137 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „კერძო სამართლის“ და „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 28 დეკემბრის №1670363 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგი, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 23 აგვისტოს №935941 სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში.

აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 23 აგვისტოს №935941 სხდომის ოქმის საფუძველზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკაში მიეთითოს, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგ სამდონეზე განვითარდეს: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.
- საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტებს შეეთავაზოთ არა მხოლოდ ინგლისურ, არამედ გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენიებზეც ან დაკორექტირდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიეცეს მხოლოდ სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც B2 დონეზე ფლობს ინგლისურ ენას.
- რეკომენდებულია, არჩევითი სასწავლო კურსების „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები“-ს და „ევროკავშირში ინტეგრაციის შესავალი“-ს ნაცვლად სტუდენტებს შეეთავაზოთ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური სასწავლო კურსები ანუ სასწავლო

კურსები, რომლებიც შესძენენ სტუდენტს ღრმა და სისტემურ ცოდნას სისხლის სამართლის სფეროში.

- რეკომენდებულია, უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან (დამსაქმებლებთან) დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტი დეტალურად აღწერდეს როგორც მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე მისაღება სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა შესაბამისად.

შესაბამისად არაგეგმიურმა მონიტორინგმა მოიცვა პირველი (1.3 და 1.5 კომპონენტები) და მე-2 (2.1 და 2.2 კომპონენტები) სტანდარტები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

„სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგით უსდ-ის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 23 აგვისტოს №935941 სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა შემდგენაირად:

#	სტანდარტი/კომპონენტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	რეკომენდაცია შესრულებულია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	რეკომენდაცია შესრულებულია
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტთან
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	რეკომენდაცია შესრულებულია
2.2.	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	რეკომენდაცია შესრულებულია

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულებას დასკვნაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პირველი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის ანალიზით დგინდება, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში. კურიკულუმის რუკაზე თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, თუ რამდენი სასწავლო კურსი ავითარებს პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს. კურიკულუმის რუკის ანალიზით ასევე დგინდება, რომ პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობება მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებაში და პროგრამაში არ არის ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი ან/და სხვა აქტივობა არ ავითარებს. კურიკულუმის რუკის თანახმად, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე ვითარდება.

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა საშუალებას იძლევა პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილი;
- სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურიკულუმის რუკა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებია:

- აკადემიური წერა-კვლევის მეთოდები - (6 ECTS);
- სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა - (6 ECTS);
- მოძღვრება დანაშაულზე - (6 ECTS);
- საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება - (6 ECTS);
- თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესის ნოვაციები და სასამართლო პრაქტიკა - (6 ECTS).

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე გაიღრმავოს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებია:

- სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემები და ნოვაციები - (6 ECTS);
- კორუფციული დანაშაული - (6 ECTS);
- ტრანსნაციონალური დანაშაული - (6 ECTS);
- შედარებითი სისხლის სამართალი - (6 ECTS);
- ევროპული სისხლის სამართალი - (6 ECTS);
- ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები - (6 ECTS);
- შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი - (6 ECTS);
- ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში - (6 ECTS);
- სასამართლო კრიმინოლოგია - (6 ECTS);
- ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - (6 ECTS);
- მტკიცებითი სამართალი - (6 ECTS);
- სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია - (6 ECTS).

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ორი არჩევითი სასწავლო კურსი სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ინგლისურ ენაზეც. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი და შედარებითი სისხლის სამართალი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიდიტაციის საბჭოს მესამე რეკომენდაცია და საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროს და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის რელევანტური სასწავლო კურსების სახით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, პროგრამისათვის ირელევენტური სასწავლო კურსების („ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გარანტიები“ და „ევროკავშირში ინტეგრაციის შესავალი“)ნაცვლად სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ახალი სასწავლო კურსი „სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია“ (6 ECTS).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილი;
- სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის „Comparative criminal law“ სილაბუსი;
- სასწავლო კურსის „Comparative Criminal Procedure“ სილაბუსი;
- სასწავლო კურსის „სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია“ სილაბუსი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მეორე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უსდ-ის მიერ დაკორექტირდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. უსდ-ის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც B2 დონეზე ფლობს მხოლოდ ინგლისურ ენას. შესაბამისად, პროგრამაზე აღარ დაიშვებიან პირები, რომლებიც B2 დონეზე ფლობენ გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენას.

მთლიანობაში შესაძლებელია აღინიშნოს, რომ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

სასწავლო უნივერსიტეტი, ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარებას. მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისაგან, თუ საბაკალავრო ან/და სამაგისტრო განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე და ეს დასტურდება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით (დიპლომი და დიპლომის დანართი). მაგისტრანტობის კანდიდატი ასევე თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისაგან, თუ გააჩნია ინგლისური ენის ფლობის დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი. კომპეტენციის დამდგენი საერთაშორისო სერთიფიკატები და შესაბამისი ქულები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს ასევე როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სხვა სამაგისტრო პროგრამის, ასევე სხვა უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადები, ასევე მობილობის ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა (სამართლის ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი) პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურები აღწერილია შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესშიც, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობაში (კატალოგში), რომელიც ასევე საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია

უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილი;
- სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- შპს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი [http://www.gttu.edu.ge/ge/about-us/legal-directory/debulebebi-instruqtsiebi]
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) [http://www.gttu.edu.ge/ge/academics/stsavlebis-sistema/saganmanatleblo-programebis-katalogi]
- პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია უსდ-ის ვებგვერდის მეშვეობით http://www.gttu.edu.ge/ge/admissions

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული პრაქტიკა სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია (30 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად უსდ-ის მიერ შერჩეულია პროგრამის მიზნებისა და სამართლის სფეროსათვის რელევანტური 8 პარტნიორი ორგანიზაცია, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისის სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, დაცვის კომპანია „ალგანი“, სსიპ - იურიდიული დახმარების

სამსახური, იურიდიული კომპანია შპს „სალაყაია და კობალაძე“, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ბიურო.

უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტები. უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტები დეტალურად აღწერს პროფესიული პრაქიკის მიზანს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, პრაქტიკის ხანგრძლივობას, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას, რაც სრულად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს.

უსდ-ის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის ობიექტზე შეუძლიათ მიიღონ სემესტრში 44 სტუდენტი.

N	ობიექტის დასახელება	სტუდენტთა რაოდენობა
1	საქართველოს უზენაესი სასამართლო	4
2	თბილისის სააპელაციო სასამართლო	4
3	თბილისის საქალაქო სასამართლო	5
4	დაცვის სამსახური „ალგანი“	5
5	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	8
6	საადვოკატო ბიურო - შპს „სალაყაია და კობალაძე“	8
7	სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია	5
8	მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ბიურო	5
	სულ	44

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული მეოთხე რეკომენდაცია უსდ-ის მიერ შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- რეკომენდაციების შესრულების თაობაზე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2022 წლის 28 სექტემბრის №01-09/114 წერილი;
- სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის საქალაქო სასამართლოსთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დაცვის კომპანია „ალგანი“-სთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სალაყაია და კობალაძე“-სთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარიამ კუბლაშვილის საადვოკატო ბიუროსთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

<u>ხელმოწერები:</u>

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ზვიად როგავა

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების</u>

მაკა კარტოზია